თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოთამაშეთა განვითარების ლიგის ჩატარების უფლება
მოთამაშეთა განვითარების ლიგის ’’ ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია.

მუხლი 2. ,, მოთამაშეთა განვითარების ლიგის ჩატარების წესები
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის თამაშები ჩატარდება ,,კალათბურთის ოფიციალური წესების’’ და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
- ყველა მონაწილე ვალდებულია გაეცნოს და შეასრულოს ,,კალათბურთის ოფიციალური წესების’’ და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.
- მოთამაშეთა განვითარების ლიგაში გათვალისწინებული იქნება COVID19-ის პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების გამონაკლისების დაშვების დროებითი პროტოკოლის შესაბამისი რეკომენდაციები.

მუხლი 3. **მოთამაშეთა განვითარების ლიგის ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა**
- მოთამაშეთა განვითარების ლიგას ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს ,,საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია’’ საშეჯიბრო დეპარტამენტის მეშვეობით.
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის მხარდამჭერია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

თავი II. მოთამაშეთა განვითარების ლიგის ჩატარების მიზნები

www.GBF.ge

მუხლი 4. მოთამაშეთა განვითარების ლიგის ჩატარება მიზნად ისახავს:
- კალათბურთის პოპულარიზაციას;
- კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენას;
- კალათბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლებას და მოთამაშის მომზადების დონის განსაზღვრას;
- საკალათბურთო კლუბების განვითარების ხელშეწყობას;
- საქართველოში კალათბურთის შემდგომ განვითარებას;
- წინასასეზონოდ მწვრთნელების პრაქტიკის ამაღლება და გამოცდილების შეძენა.

მუხლი 5. მონაწილეთა რეგისტრაცია, ჩატარების დრო და ადგილი.
- მონაწილეთა რეგისტრაცია განხორციელდება კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.GBF.ge), ონლაინ, წინასწარ დადგენილი ფორმით.
- **რეგისტრაცია დაიწყება 29 ივლისს და დასრულდება 11 აგვისტოს 18:00 სთ.**
- მოთამაშეთა განვითარების ლიგა ჩატარდება ქ. თბილისში, ოლიმპიურ სპორტის სასახლეში.
- ლიგის თამაშები დაიწყება 17 აგვისტოს და დასრულდება 27 აგვისტოს.

თავი III. მოთამაშეებისა და მწვრთნელების დაშვება მოთამაშეთა განვითარების ლიგაში

მუხლი 6. დაშვების პირობები
- **მოთამაშეთა განვითარების ლიგაში მიღებულ ტრავმაზე პასუხისგებლობა ეკისრება თავად მოთამაშეს.**
- **მოთამაშეთა განვითარების ლიგაში ტრავმის დაზღვევა არ ხდება ორგანიზატორის ან კლუბის მიერ.**
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის მონაწილე გუნდების რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 11 გუნდით.
- ლიგაში დაიშვებიან მხოლოდ სუპერლიგის, „ა“ ლიგის“, სტუდენტური ლიგისა და საქართველოს ასაკობრივი ლიგების ბოლო სამ სეზონში რეგისტრირებული, 2003 წლამდე დაბადებული მოთამაშეები (2003 წელს დაბადებულები არ დაიშვებიან).
- უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისთვის განვითარების ლიგაში მონაწილეობა დაშვებულია:
- საქართველოს მოქალაქეობის მქონე იმ პირებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის საკალათბურთო ჩემპიონატებში, მოთამაშეთა განვითარების ლიგაში მონაწილეობა თავისუფალია:
- მოთამაშეთა განვითარების ლიგაში მონაწილეობას მიიღებს სუპერლიგის 2019-2020 წლების სეზონის კლუბების დასახელების მქონე 11 გუნდი.
- სუპერლიგის თითოეული გუნდის მოქმედი ასისტენტი მწვრთნელი იქნება მოთამაშეთა განვითარების ლიგაში შესაბამისი დასახელების მქონე გუნდის მთავარი მწვრთნელი, რომელიც შემადგენლობას ლიგაში დარეგისტრირებული მოთამაშეებისგან შეარჩევს.
- მოთამაშეების გუნდში არჩევა მოხდება კენჭისყრის პრინციპით. მონაწილე გუნდები კენჭისყრის შედეგად მიიღებენ თითო მოთამაშის არჩევის რიგით ნომერს, რის მიხედვითაც, მიღებული რიგითობით განახორციელებენ მოთამაშეების არჩევას.
- მოთამაშეთა განვითარების ლიგაში მოთამაშეების რეგისტრაცია შეზღუდული არ არის, თუმცა გუნდების მწვრთნელები აირჩევენ მაქსიმუმ 165 მოთამაშეს, [illegible] ლიგის საკალათბურთო ტურნირში [illegible] მონაწილეობას.

მუხლი 7. ფინანსები
კალათბურთის ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- სპორტული ბაზის იჯარა;
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის ორგანიზებისთვის საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირებას;
- მსაჯთა ჯგუფის მიერ თამაშის მომსახურებას
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა მუსიკალური და საცეკვავო ნომრების და საჭირო ინვენტარის უზრუნველყოფას.
- მწვრთნელებისა და მოთამაშეების, ტურნირის დროს გამართულ სხვადასხვა საშეჯიბრო კონკურსის მონაწილეების დაჯილდოვებას და სამახსოვრო სუვენირების გადაცემას (თასი, სიგელი, მედალი)
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის ვისუალური შეფუთვის ხარჯი (ბანერები,სტიკერი)

მუხლი 8. მონაწილე გუნდები და ჩატარების სისტემა:
8.1 მოთამაშეთა განვითარების ლიგის გათამაშებაში მონაწილეობს სუპერლიგის 2019-2020 წლების სეზონში მონაწილე 11 კლუბის სახელწოდების მქონე 11 გუნდი.
დინამო, კაკტუსი, თსუ, ტიტები, ქუთაისი, რუსთავი, მგზავრები, ვერა, ბათუმი, ცხუმ-აფხაზეთი, ოლიმპი

8.2 მოთამაშეთა განვითარების ლიგა 2020-ის საკალათბურთო ტურნირის ჩატარების სისტემა.
- მონაწილე 11 გუნდი ითამაშების ორ (2) ეტაპად. გუნდები კენჭისყრის შედეგად განაწილდება 2 ჯგუფში.

პირველი ეტაპი : გუნდები ჯგუფებში ითამაშებენ წრიული სისტემით (ერთ წრეს).
- გამარჯვებისათვის გუნდს ერიცხება ორი ქულა, წაგებისათვის ერთი ქულა. თუ ორი ან რამდენიმე გუნდი დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც ექნება მოგება პირად შეხვედრაში. იმ გუნდებში, რომლებსაც პირად შეხვედრებში მოგებების თანაბარი რაოდენობა აქვთ, უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც ჩაგდებული და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ექნება პირად შეხვედრებში.

მეორე ეტაპი: ჯგუფებში 1-2 ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ ერთმატჩიან ნახევარფინალს: ა1-ბ2, ბ1-ა2. ნახევარფინალებში გამარჯვებული გუნდები ითამაშებენ მოთამაშეთა განვითარების ლიგა 2020-ის წლის ჩემპიონობისთვის ფინალში (ერთი მატჩი)

დისციპლინარული სანქციები
მუხლი 9. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები
დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს "სადისციპლინო ტექნიკური კომისია".
გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს და გუნდის სხვა თანმხლებ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ. წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:
9.1 ტექნიკური ჯარიმის მიღების შემთხვევაში, მოთამაშეს, ასევე მწვრთნელს ეკისრება ფულადი სანქცია 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ტურნირის განმავლობაში მე-3 ტექნიკური ჯარიმიდან ყოველი მომდევნო დარღვევისთვის ფულადი სანქცია ორმაგდება და შეადგენს:
მე-3 ტექნიკურისთვის - 100 ლარს;
მე-4 ტექნიკურისთვის - 200 ლარს;
მე-5 ტექნიკურისთის - 400 ლარს;
მე-6 ტექნიკურისთვის - 800 ლარს… და ასე შემდეგ.
შენიშვნა: ფინანსური სანქცია არ ვრცელდება იმ ტექნიკურ ჯარიმებზე, რომლებსაც მოთამაშეები მიიღებენ ეგრედ წოდებული „ფეიკისთვის" (FAKE).
9.2 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:
9.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ორ (2) თამაშამდე და ჯარიმა ექვსას (600) ლარამდე.
9.2.2 ტურნირის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ორიდან (2) ოთხ (4) თამაშამდე და ჯარიმა ექვსასიდან (600)-დან ათას (1000) ლარამდე.
9.2.3 ტურნირის განმავლობაში მესამე მსგავსი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) თამაშამდე და ჯარიმა რვაასიდან (800)-დან ათასხუთას (1500) ლარამდე.

9.3 ფიზიკური შეურაცხყოფა:
9.3.1 "შეურაცხმყოფელი ფიზიკური კონტაქტი"
9.3.1.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ხუთ (5) მატჩამდე და ჯარიმა ხუთასიდან (500) შვიდას (700) ლარამდე.
9.3.1.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ორ (2) თამაშამდე და ჯარიმა სამასიდან (300) რვაას (800) ლარამდე.
9.3.2 "უხეში ფიზიკური შეურაცხყოფა":
9.3.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) მატჩამდე და ჯარიმა ხუთასიდან (500) ათას (1000) ლარამდე.
9.3.2.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია სამიდან (3) ხუთ (5) თამაშამდე და ჯარიმა ხუთასიდან (500) ათას (1000) ლარამდე.
9.4 მსაჯის მიერ თამაშიდან გაძევებული მოთამაშე, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე ან გუნდის თანმხლები პირი ავტომატურად ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მომდევნო ერთი თამაშით, თუ დანაშაულის სიმძიმე არ ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს.
9.5 დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებულ სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომაზე მიწვეულ პირს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმა ასი (100) ლარის ოდენობით.
9.6 იმ შემთხვევაში, თუ დასჯილი მწვრთნელი, ან მოთამაშე თუ დისკვალიფიკაციის ვადა აღემატება ტურნირის ბოლომდე გათვალისწინებული კალენდარული თამაშების რაოდენობას, დარჩენილი სასჯელი გადადის მომდევნო ტურნირზე ან კალათბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ნებისმიერ ღონიზიებაზე.
9.7 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის მოყვანილი მე-9 მუხლში, განიხილება ს.კ.ე.ფ-ს გამგეობის მიერ.
9.8 განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.კ.ე.ფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გაზარდოს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.
9.9 გუნდის წევრებისათვის დაკისრებული, დებულებით გათვალისწინებული, ყველა სახის ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს მომდენო თამაშამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი დაშვება მომდევნო თამაშზე.
9.10 სადისციპლინო კომისიის მიერ გამოტანილ ფინანსურ სანქციებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ ლიგაში დარეგისტრირებულ მოთამაშეებს.

მუხლი 10. პროტესტის შეტანის წესი
10.1 პროტესტი ს.კ.ე.ფ-ში შედის წერილობითი ფორმით და ,,კალათბურთის ოფიციალურ წესებში" ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
10.2 პროტესტის შემტანი იხდის წინასწარ თანხას 200 (ორასი) ლარი ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება უკან.
10.3 პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს ს.კ.ე.ფ-ის სააპელაციო კომისია.
10.4 თუ საჩივრის წარმდგენი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს ს.კ.ე.ფ-ის გამგეობა. ამ შემთხვევაში წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა იზრდება 400 (ოთხასი) ლარი. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

მუხლი 11. დაჯილდოება
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის 2020 წლის გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის სპეციალური ჯილდოებით.
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის 2020 წლის საუკეთესო მოთამაშე დაჯილდოვდება სამახსოვრო პრიზით.
- მოთამაშეთა განვითარების ლიგის 2020 წლის საუკეთესო ხუთეულს გადაეცემა სამახსოვრო პრიზები

GBF.GE